ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298 ს. კ. 01.14.15.001.389; ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77ი, ს. კ. 01.14.15.001.235; ქალაქი თბილისი, ქუჩა გაზაფხული, N 4; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298 ს. კ. 01.14.15.001.394. საპროექტო მრავალ ფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინეს არქიტექტორულმა ჯგუფმა: გ. ჭყონია, გ. სამხარაძე, დ. დანელია, ბ. ბალიაშვილი, ა. ჩიქოვანი.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის (მუხლი 47. "არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განემარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. წესები - შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მიერ შეთანხმებული მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ბრძანება № 5150427. პროექტის მიზანია მრავალ ფუნქციური შენობა ნაგებობისთვის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298 ს. კ. 01.14.15.001.389; ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77ი, ს. კ. 01.14.15.001.235; ქალაქი თბილისი, ქუჩა გაზაფხული, N 4; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298 ს. კ. 01.14.15.001.394. ფართობი - 6754 მ2 საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო აღმოსავლეთით და დასავლეთით, ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე. დანარჩენ მხარეს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო შენობა შედგება 4 მიწისქვეშა და 27 მიწისზედა სრული სართულისგან. მიწისქვეშა სართულზე განთავსებული ავტოსადგომები, საოფისე, სავაჭრო, და დამხმარე ფუნქციის ფართები, პირველ სართულზე განთავსებულია საცურაო აუზი და სატრენაჟორო დარბაზი, მეორე-მეხუთე სართულზე განთავსებულია საოფისე ფართები. ხოლო მეექვსე სართულიდან ზევით საცხოვრებელი ბინები. შენობას აქვს 4 კიბის, უჯრედი, მათგან 2 ემსახურება -4_დან პირველი სართულამდე ფართებს. ხოლო დანარჩენი ორი ერთმანეთთან შენობის ყველა აკავშირებს. სართულს შენობაში მოწყობილია 6 ლიფტი, რომელთა კაბინის ზომები მისაწვდომია შშმ პირთათვის. ლიფტში შესაძლებელია საკაცის განთავსება.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ სტრუქტურას, დიაფრაგმებით და არმირებული ბეტონის კედლებით (მიწისქვეშა ნაწილში). შენობის საძირკველი - რკინაბეტონის ფილა.

4. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **სც-2 (310.4)** საცხოვრებელი ჯგუფი (საცხოვრებელი ბინები), რომელიც მოიცავს მრავალბინიან სახლებს. ეს დაკავებულობები განლაგებულია ნაგებობების მეექვსე დან ოცდამეშვიდე სართულის ჩათვლით. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18.6 მთლიანი.

- **სწ-2 (311.3)** სასაწყობო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს ავტოსადგომ გარაჟებს და არა წვადი მასალის შესანახ სასაწყობო სივრცეებს. ეს დაკავებულობა განლაგებულია -4, -3, -2 და -1 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი საწყობებისთვის 18.6 მთლიანი და ავტოსადგომისთვის 18,6 მთლიანი

- **სწ-1 (311.2)** სასაწყობო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს სხვადასხვა მასალის საწყობს. ეს დაკავებულობა განლაგებულია ყველა სართულზე, სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 46,5 მთლიანი. სასაწყობო ჯგუფი, ტანსაცმლის გასახდელები. ეს დაკავებულობა განლაგებულია პირველ სართულზე. ვინაიდან ის არის ტანსაცმლის შესანახი და იქ პერიოდულად მოუწევთ ბევრ დამკავებლებს ერთდროულად ყოფნა - მისთვის შეირჩა თავშეყრის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1.4 სუფთა.

- **სქ (304.1)** საქმიანი ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „მონაცემთა ელექტრონული დამუშავებას“ ეს დაკავებულობა განლაგებულია -4 სართულიდან მეხუთე სართულის ჩათვლით. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9.3 მთლიანი

- **დს (312.1)** დამხმარე ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „წყლის ავზებს“ ეს დაკავებულობა განლაგებულია -4 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 27.9 მთლიანი.

- **თვ-3 (303.4)** თავშეყრის ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „თავშეყრის ჯგუფს გართობისათვის“ ეს დაკავებულობა განლაგებულია პირველ სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 4.7 მთლიანი

- **სვ (309.1)** სავაჭრო ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს „საცალო და საბითუმო მაღაზიებს“ ეს დაკავებულობა განლაგებულია -3 სართულზე სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 2,8 მთლიანი.

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **I-A ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- შენობა განისაზღვრა I-A ტიპის კონსტრუქციად, ტიპიდან გამომდინარე მას არ აქვს სიმაღლისა და ფართობის შეზღუდვები. **წესების** 503 ქვეთავის მიხედვით ყველა დაკავებულობებისთვის სართულის ფართი, სართულიანობა და შენობის სიმაღლე შეუზღუდავია. წარმოდგენილი პროექტი სრულიად შეესაბამება **წესების** 503 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **წესების** 601 ცხრილის მიხედვით განისაზღვრა შენობის ელემენტებისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხი, რადგან შენობა რკინაბეტონის კონსტრუქციისაა, მისი ყველა ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილში - 4 საათზე მეტი ცეცხლმედეგობისაა. შესაბამისად შენობის ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** მოთხოვნებს.

- **წესების** 602 ცხრილით შეფასდა გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და შენობის ტიპის მიხედვით. რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შენობის მთლიან პერიმეტრზე 9 მეტრზე მეტია - გარე კედლებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვებათ. გარე კედლები სრულად შეესაბამება **წესების** 601 ცხრილს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- -4 სართულს -11.40 ნიშნულზე (ავტოსადგომის და დამხმარე ფართებს) აქვს ოთხი გასასვლელი გზა კიბე. ის აკმაყოფილებს **წესების** 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას.

- -3 სართულს -8.55 ნიშნულზე (ავტოსადგომის, კომერციულს და საოფისე ფართებს) აქვს ოთხი გასასვლელი გზა კიბე და ორი გასასვლელის გზა-კარი. ის აკმაყოფილებს **წესების** 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას.

- -2 სართულს -5.70 ნიშნულზე (ავტოსადგომის ფართებს) აქვს ორი გასასვლელი გზა კიბე. ის აკმაყოფილებს **წესების** 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას.

- -1 სართულს -2.85 ნიშნულზე (ავტოსადგომის და საოფისე ფართებს) აქვს ოთხი გასასვლელი გზა კიბე. ის აკმაყოფილებს **წესების** 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას.

- პირველ სართულს +0.00 ნიშნულზე არსებულ სატრენაჟორო დარბაზს და საცურაო აუზს აქვს სამი გასასვლელი გზა კიბე. ის აკმაყოფილებს **წესების** 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას.

- მეორე სართულიდან მეხუთე სართულის ჩათვლით (+4.50 დან +16.20 ნიშნული) საოფისე ფართებს აქვს ორი გასასვლელი გზა კიბე. ის აკმაყოფილებს **წესების** 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას.

- მეექვს სართულიდან ოცდამეშვიდე სართულის ჩათვლით საცხოვრებელ ფართებს (+20.10 დან +89.40 ნიშნული) ნიშნულის ჩათვლით არსებულ სართულებს, სადაც განლაგებულია საცხოვრებელი ბინები **წესების** 1021.2 ქვეთავის მიხედვით ემსახურებათ ორი შიდა გასასვლელის გზა-კიბე.

- **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით თითოეულ სართულზე დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები.

- გზა-კიბეები დაგეგმარებულია **წესები** 1009 და 1022 ქვეთავების შესაბამისად

- დაცულია გზა-კიბეებს შორის მანძილი, გათვალისწინებულია გზა-კიბის კარის მუშაობის პრინციპი, გასასვლელის კვამლ გაუმტარი შემომზღუდავები და ყველა სხვა კომპონენტი, რომელიც განსაზღვრულია **წესების** 403.5 ქვეთავში.

- გზა-კიბეები შემოზღუდულია **წესების** 707 ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ზღუდით. ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათზე მეტია.

- მაღლივი შენობის მომსახურე შიგა გასასვლელის გზა-კიბეები ერთმანეთისგან გამიჯნულია არანაკლებ 9.0 მეტრით თანახმად 403.5.1 პუნქტისა.

- შენობის სახურავზე მიდგომა ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 პუნქტისა.

- -8.85; +0.00 და +4.50 ნიშნულზე მდებარეობს შენობიდან გამოსასვლელები დაგეგმარებულია **1022.1** ქვეთავის მიხედვით. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები, რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში გასასვლელის კომპონენტებია, უნდა მოეწყოს ამ ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები პირდაპირ შენობის გარეთ უნდა მიემართებოდეს ან შენობის გარე მხარემდე უნდა გაგრძელდეს **1023-ე** ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფნით. გამონაკლისია **1027.1** ქვეთავში დაშვებული შემთხვევა. შიგა გასასვლელის გზა-კიბე ან პანდუსი არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა დანიშნულებით, გარდა გასასვლელი საშუალებისა.

- გზა-კიბის გამოსასვლელი გზა-დერეფანი მოწყობილია **1023.5** ქვეთავის მიხედვით. გასასვლელის გზა-დერეფნის ღიობის დამცავები უნდა აკმაყოფილებდეს **716-ე** ქვეთავის მოთხოვნებს. **402.8.7** ქვეთავში დაშვებულის გარდა, გასასვლელის გზა-დერეფანში უნდა მოეწყოს მხოლოდ ის ღიობები (გარდა შიგა ღიობებისა), რომლებიც საჭიროა დაკავებული სივრცეების გასასვლელის გზა-დერეფანთან მისადგომად ან გასასვლელის გზა-დერეფნიდან გამოსასვლელად. შესაბამისად გზა-კიბიდან გამოსასვლელი რომელიც ემსახურება ყველა სართულს და დერეფნიდან გამოსასვლელი კარი რომელიც ემსახურება 0 სართულზე არსებულ ფართებს არის აუცილებელ გასასვლელი ღიობი. რაც თვალისწინებს 41 დადგენილების **1023** ქვეთავს.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- ნაგებობაში პროექტით გათვალისწინებულია ოთხი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მათი სიგანეები არის 110 სანტიმეტრზე მეტი. რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური **წესების** 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს **წესების** 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკმაყოფილებს **წესების** 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **წესების** 1006 ქვეთავის მიხედვით გასასვლელი საშუალებები (გზა-კიბეები, დერეფნები,) ყოველთვის უნდა იყოს განათებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრო მომარაგებით, გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.

- **წესების** 1006.3.1 განათებულობის დონე საგანგებო ელექტრომომარაგების დროს. საგანგებო ვითარებისას გასანათებელი მოწყობილობები უნდა უზრუნველყოფდეს საშუალოდ 11 ლუქს განათებულობას და გასასვლელის გზის გასწვრივ იატაკის დონეზე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 1 ლუქსს. განათებულობა შეიძლება შემცირდეს 6 ლუქსამდე, ხოლო საგანგებო ვითარების დასრულებამდე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 0,6 ლუქსამდე. განათებულობის მაქსიმალური და მინიმალური თანაფარდობა 40:1-ს არ უნდა აღემატებოდეს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობა-ნაგებობების ორი შესასვლელი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ყველა შესასვლელი მდებარეობს მიწის დონეზე. საიდანაც მოხვედრა შეიძლება ლიფტებთან მათი საშუალებით შშმ პირს შეუძლია მოხვედრა ყველა სართულზე.

- სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი. ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- ყველა კარი, ყველა დერეფანი და ყველა სივრცე არის მისაწვდომი. პროექტი სრულად აკმაყოფილებს **წესების** 11 თავის მოთხოვნებს.

- მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს საჭირო არ არის ემსახურებოდეს თავშესაფრის ფართობები, ვინაიდან ნაგებობის ძირითადი დაკავებულობა არის სც-2, რაც შეესაბამება **წესების** 1007.3 პუნქტის მე-6 გამონაკლისს.

- ლიფტებში დაყენებულია დაწნევის სისტემა **წესების** 713.14.1 ქვეთავის გამონაკლისი 6-ის მიხედვით,

- ტერიტორიაზე მოწყობილია **წესების** 1106.1 ცხრილის მიხედვით მისაწვდომი ავტოსადგომების საჭირო რაოდენობა.

- ნაგებობა სრულად აკმაყოფილებს **წესების** მე-11 თავის მოთხოვნებს.

- ნაგებობაში შესასვლელების 50%-ზე მეტი **წესების** 1105.1 ქვეთავის მიხედვით არის მისაწვდომი.

- **წესების** 1104 ქვეთავის მიხედვით სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი

7. ლიფტების შეფასება:

- **წესების** 403.6.1 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით შენობაში მოწყობილია სახანძრო სამაშველო დანაყოფის მისადგომი ორი ლიფტი (1600 კგ-ზე მეტი ტვირთამწეობის), რომელიც დაგეგმარებულია **წესების** 1707 ქვეთავის შესაბამისად. ეს ლიფტები აკავშირებს ყველა სართულს.
- **წესების** 1707.7 ქვეთავის მიხედვით სახანძრო სამაშველო ლიფტებს ყველა სართულზე აქვს 14 კვ/მ-ზე მეტი ფართობის მქონე ლიფტის ფოიეები.

- შენობაში ასევე განლაგებულია 4 ლიფტი, აქედან 3 ლიფტი აკავშირებს -4 დან -1 სართულის ჩათვლით არსებულ ფართებს, ხოლო მეოთხე ლიფტი ჩერდება ყველა სართულზე.

- ლიფტების დაგეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ის აკმაყოფილებს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ASME A117-ის მიხედვით

- ლიფტის შახტის შემომზღუდავების სტრუქტურული მთლიანობა აკმაყოფილებს წესების 403.2.3.1 - 403.2.3.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სახანძრო სამაშველო ლიფტების კაბინის ზომები განსაზღვრულია წესების 1702.4 ქვეთავის მიხედვით. ისეა დაგეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2,15 X 0,6 ზომის საკაცის შეტანა.

- ლიფტის შახტის საჰაეროების დაგეგმარება და ფართობი შეესაბამება **წესების** 1704.3 ქვეთავის მოთხოვნას.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო ნაგებობების გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

- ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების** 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 601ცხრილის მოთხოვნებს.

- დაცულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში.

- გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სქემით:

ფასადი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მ.)	დაუცველი ღიობების პროცენტულობა
7-18 ღეძებში	>9.0მ	აკმაყოფილებს
18-7 ღერძებში	>9.0მ	აკმაყოფილებს
ბ-ლ ღეძებში	>9.0მ	აკმაყოფილებს
ლ-ბ ღერძებში	>9.0მ	აკმაყოფილებს

- გარე კედლების ანაწყობი, გამოყენებული მასალები და მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **I-A** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის სახურავს წარმოადგენს რკინაბეტონის ფილა რომელსაც აქვს 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- სახურავის ფილის ზედაპირზე განლაგებულია არა წვადი (ქვაბაბის) თბოსაიზოლაციო ფენილი, ქვიშა ცემენტის მოჭიმვა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილი. სახურავის ანაწყობი **წესების** 15 თავის მოთხოვნების შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

- სახურავს ზემოთ მდებარეობს ლიფტის სამანქანე ნაგებობა, რომელსაც უკავშირდება შიდა გასასვლელის გზა-კიბეები. სახურავს ზედა ნაგებობები აკმაყოფილებს **წესების** 1509 ქვეთავის მოთხოვნებს

- სახურავი **წესებთან** შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამოჯვნების შეფასება:

შენობა-ნაგებობაში შვიდი სხვადასხვა დაკავებულობაა, ყველა ფართი ერთმანეთისგან იმიჯნება 1 საათიანი ცეცხლმედეგი ტიხრებით, (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით), რაც სრულ შესაბამისობაშია **წესების** 508,4 ცხრილთან.

11. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

- წესების 903 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე შენობა მთლიანად აღჭურვილია წესების 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა მოხდეს NFPA 13 - ის მიხედვით.

- ნაგებობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეპუნქტის მიხედვით და განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

- **წესების** 905.1 ქვეთავის მიხედვით დერეფანში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები, რომლებიც უნდა დაყენდეს NFPA 14 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

- **წესების** 907.2.9 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით სც-2 დაკავებულობებში დერეფნებში დაყენებულია წესების 907.2.9.1 ქვეთავის შესაბამისი ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემებს 907.5 ქვეთავის შესაბამისად.

- **წესების** 907.2.9.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით UL 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა დაყენდეს 907.2.11.1 - 907.2.11.4 ქვეთავებისა და NFPA 72-ის მიხედვით.
- საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ საზღვართან მოწყობილია **წესების** 912 ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები, რომელიც განთავსებულია NFPA სტანდარტების შესაბამისად და აკმაყოფილებს **წესების** 912.2 – 912.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

- სართულებზე მოწყობილია ტუალეტები, რომლებიც მოემსახურება იგივე სართულზე არსებულ დაკავებულობებს, ან **წესების** 1602.3.2 ქვეთავის მიხედვით ერთი სართულით ზემოთ ან ქვემოთ არსებულ დაკავებულობებს.

- ნაგებობების -4, -3, -2, და -1 სართულზე არსებულ ავტოსადგომებს **წესების** 1602.3-ის გამონაკლისის მიხედვით არ ესაჭიროება ტუალეტი

- საცხოვრებელ სართულებზე ყველა ბინაში მოწყობილია საჭირო რაოდენობის ტუალეტები (**წესების** 1602.1 ცხრილი)

13. ხანძრის მართვის ცენტრის შეფასება:

- **წესების** 911 ქვეთავის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში მდებარეობს ხანძრის მართვის ცენტრი.

- მისი ზომა განსაზღვრულია **წესების** 911.1.3 ქვეთავის მიხედვით.

- გამიჯნულია სხვა სივრცისგან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით რაც აკმაყოფილებს **წესების** 911.1.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- განლაგებულია ნულ სართულზე ადვილად მისადგომ სივრცეში.

14. ავტოსადგომების შეფასება:

ნაგებობაში მოწყობილია ავტოსადგომები, რომლებიც **წესების** დაცვითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნას.

- ავტოსადგომის შიდა სივრცეში განლაგებულ დახურულ ავტოსადგომებს, ემსახურება ცალმხრივი საავტომობილო გზები, რომლის სიგანე არის 3,5 მეტრზე მეტი. ის აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.1 ქვეთავის

- ავტოსადგომის შიდა სივრცეში მოწყობილია ორმხრივი საავტომობილო პანდუსები, რომლის სიგანე არის 6.5 მეტრი. ის შესაბამისობაშია **წესების** 406.9.4.1 მოთხოვნებთან.

- საავტომობილო გზების და მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომების ზომები, განლაგებისა და გასასვლელების მიმართ მოთხოვნები განსაზღვრულია **წესების** 406.9.4.3.1 ცხრილის მიხედვით და აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.

- **წესების** 406.9.2.4 ქვეთავის მიხედვით მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომები, რომლებიც დაგეგმარებულია ICC A117.1-ის ნორმების მიხედვით.

- საავტომობილო პანდუსები დაგეგმარებულია წესების 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით.

დასკვნა

ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298 ს. კ. 01.14.15.001.389; ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77ი, ს. კ. 01.14.15.001.235; ქალაქი თბილისი, ქუჩა გაზაფხული, N 4; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/298 ს. კ. 01.14.15.001.394. საპროექტო მრავალ ფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ლევანი ოქროპირიძე

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება	
სც-2 (310.4) საცხოვრებელი ჯგუფი.	6-27 სართულებზე
თვ-3 (303.4) თავშეყრის ჯგუფი	1 სართული
სწ-1 (311.2) სასაწყობო ჯგუფი	1 სართული
სწ-2 (311.3) სასაწყობო ჯგუფი “ავტოსადგომ გარაჟებს და არაწვადი მასალის შესანახ სასაწყობო სივრცეებს”	-4, -3, -2, -1 სართული
დს (312.1) დამხმარე ჯგუფი „წყლის ავზი“	-4, -1 სართული
სქ (304.1) საქმიანი ჯგუფი	-4, -3, -1, 1, 2, 3, 4, 5 სართული

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: **მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B**	**I-A** ტიპი

სიმაღლის შეზღუდვები **ცხრილი 503 -ის მიხედვით**		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	შეუზღუდავი	21
სასაწყობე ჯგუფი სწ-1	შეუზღუდავი	1
სასაწყობე ჯგუფი სწ-2	შეუზღუდავი	4
თავშეყრის ჯგუფი თვ-3	შეუზღუდავი	1
დამხამარე ჯგუფი დს	შეუზღუდავი	1
საქმიანი ჯგუფი სქ	შეუზღუდავი	8
	დასაშვები	**შემოთავაზებული**
საერთო სიმაღლე =	შეუზღუდავი	95.40
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =		27

ფართობის შეზღუდვები **ცხრილი 503 -ის მიხედვით**		
დაკავებულობები	**დასაშვები ფართობი**	**შემოთავაზებული ფართობი**
სასაწყობე ჯგუფი სწ-2 (-4 სართ.)	შეუზღუდავი	1980.0
საქმიანი ჯგუფი სქ (-4 სართ.)	შეუზღუდავი	25.1
დამხამარე ჯგუფი დს (-4 სართ.)	შეუზღუდავი	610.5
სასაწყობე ჯგუფი სწ-2 (-3 სართ.)	შეუზღუდავი	2317.2
საქმიანი ჯგუფი სქ (-3 სართ.)	შეუზღუდავი	235.0
სავაჭრო ჯგუფი სვ (-3 სართ.)	შეუზღუდავი	272.7
სასაწყობე ჯგუფი სწ-2 (-2 სართ.)	შეუზღუდავი	2317.6
სასაწყობე ჯგუფი სწ-2 (-1 სართ.)	შეუზღუდავი	2108.9
საქმიანი ჯგუფი სქ (-1 სართ.)	შეუზღუდავი	447.3
დამხამარე ჯგუფი დს (-1 სართ.)	შეუზღუდავი	21.9
თავშეყრის ჯგუფი თვ-3 (1 სართ.)	შეუზღუდავი	1277.9
საქმიანი ჯგუფი სქ (1 სართ.)	შეუზღუდავი	101.0
სასაწყობე ჯგუფი სწ-1 (1 სართ.)	შეუზღუდავი	101.2
საქმიანი ჯგუფი სქ (2-5 სართ.)	შეუზღუდავი	677.6
სასაწყობე ჯგუფი სწ-1 (2-5 სართ.)	შეუზღუდავი	10.7
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (6-19 სართ.)	შეუზღუდავი	862.0
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (20 სართ.)	შეუზღუდავი	872.5
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (21 სართ.)	შეუზღუდავი	814.2
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (22 სართ.)	შეუზღუდავი	738.9
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (23-26 სართ.)	შეუზღუდავი	658.0
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (27 სართ.)	შეუზღუდავი	516.8
იატაკის საერთო ფართობი =	**32211.9**	
იატაკების რაოდენობა =	**31**	
შენობის საერთო ფართობი სართულების გარე პერიმეტრებით =	**37716.8**	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები

ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით

გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
7-18 **ღეძებში**	>9.0მ	0	0	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	-	-	აკმაყოფილებს
18-7 **ღერძებში**	>9.0მ	0	0	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	-	-	აკმაყოფილებს
ბ-ლ **ღეძებში**	>9.0მ	0	0	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	-	-	აკმაყოფილებს
ლ-ბ **ღერძებში**	>9.0მ	0	0	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	-	-	აკმაყოფილებს

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	**ავტოსაშხეფი სისტემა**	**ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები**	**ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემები**	**სახანძრო მილდგარების სისტემები**	**კვამლის საკონტროლო სისტემები**	**ხელის ცეცხლმაქრები**	**საავარიო განგაშის სისტემები**
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	-	-	-	-	-	-	კი
სასაწყობე ჯგუფი სწ-1	კი	-	კი	-	მექანიკური განიავება	კი	
სასაწყობე ჯგუფი სწ-2	კი	-	კი	-	მექანიკური განიავება	კი	
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	-	კი	-	-	კი	
დამხამარე ჯგუფი დს	კი	-	კი	-	-	კი	
სავაჭრო ჯგუფი სვ	კი	-	კი	-	-	კი	
თავშეყრის ჯგუფი თვ-3	კი	-	კი	-	-	კი	
ავტოსადგომი	კი	-	კი	კი	მექანიკური განიავება/ კვამლის გაწოვა	კი	
დერეფნები	კი	-	კი	კი	მექანიკური განიავება / კვამლის გაწოვა	კი	
ტამბური	-	-	-	-	მექანიკური განიავება/ დაწნევის სისტემა	-	
კიბის უჯრედი	-	-	-	-	დაწნევის სისტემა	-	
ლიფტის შახტა	-	-	-	-	დაწნევის სისტემა	-	
სახანძრო-ამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი			

განიაავების მოთხოვნა		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	კი	-
სასაწყობე ჯგუფი სწ-1	-	კი
სასაწყობე ჯგუფი სწ-2	-	კი
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	-
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი	-
სავაჭრო ჯგუფი სვ	კი	-
დამხამარე ჯგუფი დს	-	კი
ტამბური	-	კი
დერეფნები	-	კი
კიბის უჯრედი	-	კი

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-4 სართული	132	2	3 (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	1,1	>1,1	1,2	>1,2	0,82	>0,82
-3 სართული	249	2	2 (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები) 4 (გზა-კარი)	1,1	>1,1	1,2	>1,2	0,82	>0,82
-2 სართული	125	2	2 (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	1,1	>1,1	1,2	>1,2	0,82	>0,82
-1 სართული	163	2	4 (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	1,1	>1,1	1,2	>1,2	0,82	>0,82
პირველი სართული	384	2	1 (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები) 4 (გზა-კარი)	1,1	>1,1	1,2	>1,2	0,82	>0,82
მეორე - მეხუთე სართული	76	2	2 (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	1,1	>1,1	1,2	>1,2	0,82	>0,82

მეექვსე - მეცხრეანეტე სართული	**52**	**2**	**2** (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	1,1	>1,1	1,2	>1,2	0,82	>0,82
მეოცე სართული	**52**	**2**	**2** (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	**1,1**	**>1,1**	**1,2**	**>1,2**	**0,82**	**>0,82**
ოცდამეერთე სართული	**48**	**2**	**2** (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	**1,1**	**>1,1**	**1,2**	**>1,2**	**0,82**	**>0,82**
ოცდამეორე სართული	**46**	**2**	**2** (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	**1,1**	**>1,1**	**1,2**	**>1,2**	**0,82**	**>0,82**
ოცდამესამე - ოცდამეექვსე სართული	**39**	**2**	**2** (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	**1,1**	**>1,1**	**1,2**	**>1,2**	**0,82**	**>0,82**
ოცდამეშვიდე სართული	**29**	**2**	**2** (შიგა გასასვლელის გზა-კიბეები)	**1,1**	**>1,1**	**1,2**	**>1,2**	**0,82**	**>0,82**

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა-საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და სც-3 ქვეჯგუფები

ცხრილი 1602.1-ის მიხედვით

სართულები	საცხოვრებელი ერთეული	ფიქსირებული მოწყობილობები									
		უნიტაზი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ტუალეტის ხელსაბანები (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		აბაზანა/შხაპი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		სამზარეულოს ნიჟარა (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი	
		ღია	დახურული	ღია	დახურული	ღია	დახურული	ღია	დახურული	ღია	დახურული
მეექვსე - მეცხრეანეტე სართული	12	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეოცე სართული	10	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ოცდამეერთე სართული	10	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ოცდამეორე სართული	8	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ოცდამესამე - ოცდამეექვსე სართული	8	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ოცდამეშვიდე სართული	2	1	1	1	1	1	1	1	1	1	1

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების
ცხრილი 1602.1-ის მიხედვით

სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები									
		უნიტაზი		ხელსაბანი		აბაზანა/შხაპი		წყლის დასალევი შადრევნები		სამომსახურეო ნიჟარა	
		მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა
-3 სართული	**249**	1	1	1	1	-	-	1	1	1	1
-1 სართული	**288**	3	4	3	4	-	-	1	1	1	1
პირველი სართული	**384**	5	8	5	8	-	12	1	1	1	1
მეორე - მეხუთე სართული	**76**	4	10	4	10	-	-	1	1	1	1

ლევანი ოქროპირიძე

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი	ლევანი ოქროპირიძე
დაბადების თარიღი	03.07.1985
დაბადების ადგილი	რუსთავი
მისამართი	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. N28
ტელეფონის ნომერი	595 65 15 56
E-mail:	okropira@gmail.com

განათლება

უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2003-2007 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინჟინერი, ბაკალავრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2010-2012 თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინტერიერის დიზაინერი, მაგისტრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2017 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - დოქტორუანტურა

სამუშაო გამოცდილება

2006-2011 - შპს „დ პლუსი“ - სამშენებლო კომპანია არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2013_დან დღემდე - შპს „ენ ენ ჯგუფი“ - სამშენებლო კომპანია

არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2011_დან დღემდე - შპს „საინვესტიციო დეველოპერული კომპანია ათორი“ - სამშენებლო კომპანია
მთავარი არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD, ArchiCAD, Revit, 3D’s Max, Photoshop, CorelDraw

ენები

ქართული	მშობლიური
ინგლისური	კარგი
რუსული	კარგი

ინტერესთა სფერო

კითხვა, მუსიკის მოსმენა, მოგზაურობა.

განმცხადებელი ლ. ოქროპირიძე

თარიღი: 09.01.2019

სერტიფიკატი

№ 2017-081

გადაეცემა

ლევან ოქროპირიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000097

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2012 წლის 25 ივლისის № 3

გადაწყვეტილებით ლევან ოქროპირიძეს მიენიჭა

ინტერიერის დიზაინის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დეკანი
Dean ნოდარ ამაშუკელი
/ Nodar Amashukeli /

რექტორი
Rector თინათინ კლდიაშვილი
/ Tinatin Kldiashvili /

თბილისი
TBILISI

05 / რიცხვი/ day
09 / თვე/month
2013 / წელი/year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000097

By Decision № 3 of 25 July 2012 of the Faculty of

Architecture

Levani Okropiridze

was awarded the Degree of Master of

Interior Design

ბ.ა.
Seal

სარეგისტრაციო №
REGISTRATION 155


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ლევანი
LEVANI
გვარი / LAST NAME
ოქროპირიძე
OKROPIRIDZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
35001052365
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
03.07.1985
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
18.05.2022
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
11ID54620


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
რუსთავი
RUSTAVI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
18.05.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE011ID54620635001052365<<<<
8507033M2205186GE0<<<<<<<<<<<2
OKROPIRIDZE<<LEVANI<<<<<<<<<<<